ამჟამად მსოფლიოში 40 მილიონამდე შიდსის ვირუსით ინფიცირებული ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგან დაახლოებით ნახევარი ქალია. მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში კი შიდსის ვირუსით ინფიცირებული ქალების რაოდენობა ჭარბობს მამაკაცებისას. ინფიცირებულებს შორის ბევრია 15 წელზე ნაკლები ასაკის გოგონები.

ქალთა დიდი ნაწილი ინფიცირდება არა საკუთარი სარისკო ქცევის გამო, არამედ მათი პარტნიორი მამაკაცებისგან. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ქალებში შიდსზე ცოდნის დონის გაზრდა და იმის აქტიური პროპაგანდა, რომ მათ უფლება აქვთ, დაცულნი იყვნენ ამ ვირუსისაგან და აქვთ უფლება მამაკაცებს მოსთხოვონ მათი უსაფრთხოების დაცვა.

სადღეისოდ მსოფლიოში არ არსებობს შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინა, არც რაიმე ისეთი სამკურნალო საშუალება, რომელიც ადამიანს შიდსისგან სრულად განკურნავს. თუმცა არსებობს წამლები, რომლებიც შიდსის მქონე ავადმყოფებს მნიშვნელოვნად უხანგრძლივებს სიცოცხლეს და აუმჯობესებს მათი სიცოცხლის ხარისხს.

ამდენად, შიდსისგან დაცვის საუკეთესო საშუალება მისი პროფილაქტიკაა.

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

თბილისი, 0160, ვაჟა-ფშაველას 18ა.

ტელ: 320303, 393553

ქალთა და ბავშვთა დაცვის კავშირი

MATERNAL AND CHILD CARE UNION

აივ ინფექცია/ შიდსი

ხშირად დასმული შეკითხვები შიდსის შესახებ

რა არის შიდსი?

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი – შიდსი არის ინფექციური დაავადება და მისი გამომწვევია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ).

რას აზიანებს შიდსის ვირუსი?

აივ ძირითადად აზიანებს ჩვენი ორგანიზმის დამცველ სისტემას,რომელსაც ჰქვია იმუნური სისტემა. ამიტომ შიდსის მქონე ადამიანებს პროგრესულად უქვეითდებათ ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი.

როგორი სიმპტომები აქვს აივ ინფექციას?

ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან დიდი ხნის მანძილზე ადამიანს შეიძლება არავითარი სიმპტომი არ ჰქონდეს და თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობდეს. ასეთი მდგომარეობა შეიძლება გაგრძელდეს 5-10 წლის განმავლობაში და მეტ ხანსაც. თუმცა ამ დროს თუ გამოვიკვლევთ მის სისხლს, აღმოვაჩენთ, რომ იგი ინფიცირებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით.

წლების შემდეგ შეიძლება განვითარდეს ისეთი გამოვლინებები, როგორიცაა საერთო სისუსტე, ოფლიანობა, ლიმფური კვანძების გადიდება, თეთრი ნადები ენაზე, წითელი ლაქები და კვანძები კანზე და ლორწოვანზე, წონაში კლება, გახანგრძლივებული ხველა, გახანგრძლივებული ფაღარათი და სხვა. თუმცა, რადგანაც ყველა ეს სიმპტომი ბევრი სხვა დაავადებისთვისაცაა დამახასიათებელი, ამიტომ შიდსის დიაგნოზის დასმა შესაძლებელია მხოლოდ სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევით.

როგორ ხდება აივ ინფექციის გადაცემა?

აივ ინფექციის გადაცემა ხდება შემდეგი გზებით:

- სქესობრივი კონტაქტით;
- აივ-ით ინფიცირებული სისხლის ან სისხლის პროდუქტების გადასხმით;
- არასტერილური ნემსის, შპრიცის და სხვა რომელიმე სამედიცინო ინსტრუმენტის გამოყენებით;
- დედიდან ბავშვზე ორსულობის, მშობიაროობის, ძუძუთი კვების დროს.

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ქალები უფრო ადვილად ინფიცირდებიან თუ მამაკაცები?

სქესობრივი კონტაქტისას მამაკაციდან ქალზე ვირუსის გადაცემის რისკი ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ქალიდან მამაკაცზე.

უკანასკნელ წლებში შიდსის ეპიდემია განსაკუთრებით მზარდია ქალებში.

როგორ ხდება შიდსზე გამოკვლევა?

შიდსზე გამოკვლევა ხდება ვენიდან აღებული სისხლის სპეციალური ანალიზით. თუ ადამიანი ინფიცირებულია, სისხლში აღმოჩნდება შიდსის ვირუსის საწინააღმდეგო ნაწილაკები, ე.წ. ანტისხეულები. ეს ანტისხეულები სისხლში გამომუშავდება ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან 6-8 კვირაში. ამიტომ შიდსზე გამოკვლევა უნდა მოხდეს ვირუსის სისხლში შეჭრის შესაძლო მომენტიდან მინიმუმ ორი თვის გავლის შემდეგ.

თუკი ქალი ქმრის ერთგულია, არა აქვს შემთხვევითი სქესობრივი კავშირები, დარწმუნებულია ქმრის ერთგულებაშიც, არც ნარკოტიკს იკეთებს, საიდან უნდა ჰქონდეს მას აივ ინფექცია?

აივ ინფექციის ალბათობა აქვს ყველა იმ ადამიანს, რომელსაც ოდესმე ჩაუტარებია სამედიცინო მანიპულაცია. გარდა ამისა, მეუღლის ამჟამინდელი ერთგულება არ გამორიცხავს მის ქორწინებამდელ შემთხვევით სქესობრივ კონტაქტებს და ამიტომ იმის გარანტია, რომ მას ეს ვირუსი არ ექნება, არ არსებობს.

რა საჭიროა ორსული ქალის შიდსზე გამოკვლევა?

ორსული ქალის შიდსზე გამოკვლევა აუცილებელია იმიტომ, რომ თუ დედას აღმოაჩნდება ვირუსი, ექიმების მიერ მას დაენიშნება სათანადო მკურნალობა და მიეცემა სათანადო რჩევები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბავშვის ინფიცირების ალბათობა.

თუ ორსულს აღმოაჩნდა შიდსის ვირუსი, აუცილებლად უნდა მოიცილოს ნაყოფი თუ არა?

რა თქმა უნდა, ამის აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა ეს მთლიანად თვითონ ქალის გადასაწყვეტია.

თუ ორსულს აღმოაჩნდა შიდსის ვირუსი, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თუ ქალს მკურნალობა არ ჩაუტარდა, ბავშვი აუცილებლად ინფიცირებული დაიბადება?

დედის ინფიცირება არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი აუცილებლად ინფიცირებული დაიბადება, თუნდაც არანამკურნალევ შემთხვევებში. მკურნალობის გარეშე დედიდან ბავშვზე ვირუსის გადაცემის რისკი 25-30%-ს შეადგენს.

არსებობს თუ არა ვირუსის ბავშვზე გადაცემის რისკი ძუძუთი კვების დროს?

ძუძუთი კვებით ვირუსის გადაცემის რისკი საკმაოდ მაღალია (14%). ამიტომ აივ ინფიცირებულ ქალებს ეძლევათ რეკომენდაცია, ბავშვი კვებონ ხელოვნური გზით.